ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 313

23 ივლისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით რიგი ღონისძიების განხორციელების თაობაზე გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „ქ. თბილისში, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით რიგი ღონისძიების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 21 ივლისის №21.1007.1145 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე: „ცენტრ პოინტი ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, იმ დაინტერესებულ პირების მიერ გადახდილი/გადასახდელი თანხები, რომელთა მიმართ გამოყენებულია ან ამ განკარგულების ამოქმედების შემდეგ გამოყენებული იქნება შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებები, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების იმ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის, სადაც საერთოდ არ არის დაწყებული მშენებლობა, ან დაწყებულია თუმცა საჭიროა მისი დემონტაჟი და ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობა.

განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე